

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი** **წევრ(ებ)ი: ანა კვიჟინაძე**

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	236059251

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მცხეთა
ფაქტობრივი მისამართი	მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფელი წეროვანი
საფოსტო ინდექსი	3300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://tinyurl.cx/xPIdD
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tserovani2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577971112

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 27/02/2026 წლის ბრძანება MES 1 26 0000241849
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	31 მარტი, 01 აპრილი 2026 წელი.

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N2 საჯარო სკოლაში (ს/კ:236059251) ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 1 26 0000241849 ბრძანების საფუძველზე 2026 წლის 31 მარტსა და 1 აპრილს განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტის „ა", „გ.ა", ,,გ.დ", ,,გ.ე", ,,გ.ვ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების განხორციელების მიზნით. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. განხორციელდა ინტერვიუირება სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ინტერვიუირებამ ექსპერტებს საშუალება მოგვცა მოგვეპოვებინა საჭირო ინფორმაცია ავტორიზაციის სტანდარტების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით. ვიზიტის ორივე დღემ ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, შეაფასა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი. დასასრულს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარეს ის მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
160	153

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტში ასახულ ექსპერტთა მიგნებებთან დაკავშირებით სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლამ 07/05/2026 წლის MES 1 26 0000545923 წერილით, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, წარმოადგინა არგუმენტირებული წერილობითი პოზიცია რომელიც ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა განსახილველად. თავის პოზიციაში დაწესებულებამ წარმოადგინა ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტირებული მტკიცებულებები და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ინდიკატორებთან: 1.1.1.3, 1.2.1.2., 3.1.2.1, 3.4.1.1, 3.5.1.3, 3.5.1.4, 3.6.2.1, 3.6.3.5, 4.1.2.2, 4.2.2.3 მიმართებით გაზიარებული იქნა სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ექსპერტების მიერ არ იქნა გაზიარებული სკოლის არგუმენტირებული პოზიცია 1.2.2.2, 3.1.2.3, 3.4.1.3, 3.4.1.6 და 3.4.1.8. ინდიკატორებთან მიმართებით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	სკოლამ ვერ დაადასტურა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების ფაქტი

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	შრომითი ხელშეკრულებები არ არის შესაბამისობაში კანონმდებლობასთან (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა).
ინდიკატორი N3.4.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სკოლა ვერ უზრუნველყოფს ვიდეომონიტორინგის სისტემის დანერგვასა და ფუნქციონირებას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მოთხოვნების შესაბამისად. (დეტალურად, იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	• სკოლას დასაქმებულებთან პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლება მოპოვებული აქვს კანონმდებლობის დარღვევით; • სკოლა ვერ უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული პერსონალურ მონაცემთა სათანადოდ დაცვას; (დეტალურად, იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N3.4.1.8.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული	სკოლაში არ ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგებზე დაფუძნებული გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა

	მექანიზმების გაუმჯობესებისთვის	

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლამ სტანდარტთან შესაბამმისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 2026 წლის 10 მაისი - 2026 წლის 15 ივნისი უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის რევიზირება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/ პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის	სკოლამ უზრუნველყოს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში (15/04/2026-01/09/2026 წ) • სკოლის შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება; • სკოლის ტერიტორიის შემოღობვა.

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი N3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სკოლამ, 2026 წლის 10 მაისიდან 30 სექტემბრამდე, უზრუნველყოს საშტატო განრიგის კორექტირება, ბიბლიოთეკარის შტატის განსაზღვრა
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ სტანდარტთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის 10 მაისიდან 30 დეკემბრამდე) უზრუნევლყოს შენობის ადაპტირება შშმ პირებზე
ინდიკატორი N3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სკოლამ სტანდარტთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის 1 მაისიდან 15 ივნისამდე), უზრუნველყოს სკოლის საქმისწარმოების პრაქტიკის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტთან, საქმისწარმოების ინსტრუქციასთან შესაბამისობაში მოყვანა.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	სკოლამ უზრუნველყოს გაწეული მომსახურების შეფასება და შეფასების შედეგები გამოიყენოს მომსახურების გასაუმჯობესებლად 2026 წლის 5 მაისიდან 1 ნოემბრამდე და დანერგოს აღნიშნული პრაქტიკა

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	რჩევა:სასურველია სკოლამ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გააზიაროს, სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებთან, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და ინფორმირება სკოლის ფილოსოფიის შესახებ.

ინდიკატორი N1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სასურველია სკოლამ გადახედოს სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიას და სკოლაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად დააკონკრეტოს სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობა
ინდიკატორი N1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სასურველია სკოლამ სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში დეტალურად გაწეროს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	***რჩევა***
ინდიკატორი N3.2.1.2.	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	სასურველია • მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესში უფრო დეტალურად განისაზღვროს საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების პრინციპები. კერძოდ, მითითებული იყოს არა მხოლოდ კომისიის წევრთა რაოდენობა, არამედ ის მოთხოვნები, რომელთა საფუძველზეც ხდება კომისიის წევრთა შერჩევა; • განისაზღვროს სპეციალური მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი; • განისაზღვროს სამედიცინო პერსონალისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების (არამასწავლებელთა) შერჩევისა და დასაქმების წესი, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ერთგვაროვან პრაქტიკას
ინდიკატორი N3.4.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების	სასურველის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება

	დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/ პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი N3.6.1.2.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	სასურველია შეიმუშაოს კომპიუტერული კლასის გამოყენების მკაფიო გრაფიკი და შესაბამისი შიდა რეგულაცია, რომელიც დაარეგულირებს ტექნიკით სარგებლობის განრიგს ისე, რომ არ შეფერხდეს სასწავლო პროცესი და რესურსის გამოყენება იყოს ორგანიზებული და ეფექტიანი.
ინდიკატორი N3.6.3.3.	საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად	სასურველია განსაზღვროს კონკრეტული მექანიზმები, თუ როგორ მოახდენს სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის დამუშავებას, რეაგირებას და გათვალისწინებას სამომავლოდ.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	სასურველია სკოლამ მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესში განსაზღვროს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მექანიზმები.

ინდიკატორი N4.2.1.3.	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად	სასურველია, რომ სკოლამ პრაქტიკაში არსებული რეგულაციების მიხედვით შეიმუშაოს რემედიაციის მარეგულირებელი მექანიზმები
ინდიკატორი N4.2.1.6.	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	სასურველია, მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, უკუკავშირის მისაღებად, სკოლამ ჩაატაროს სისტემატიზირებული ანონიმური გამოკითხვა.
ინდიკატორი N4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	სასურველია, სკოლამ საშტატო განრიგში გაითვალისწინოს ენისა და მეტყველების სპეციალისტისა და ფსიქოლოგის შტატების დამატება და შეათანხმოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული დაინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული დაინფრასტრუქტურულიმხარდაჭერ**	**შესრულების სტატუსი**
ინდიკატორი N3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურების უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს, რომ სკოლაში დასაქმებულ ყველა პირს შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში, წარმოდგენილი ჰქონდეთ საქართველოს მთავრობის N463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“	შესრულებულია

ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუვნელყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დამარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაიცვას ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის აყვანის, ექიმის კაბინეტის სრულად აღჭურვის, შენობის მდგრადობის მოკვლევის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის დირექტორის ბრძანებითდამტკიცებული და კანონმდებლობის შესაბამისად საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმება, სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობითგანსაზღვრული ვალდებულებების შესრულება შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადებში.	სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებები არ არის შესრულებული
ინდიკატორი N3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	ინკლუზიური გარემოს სრულყოფილად მოწესრიგების მიზნით (გადაადგილების შეფერხების მქონე პირისთვის მეორესართულზე მდებარეკომპიუტერების ლაბორატორიასთან და ბიბლიოთეკასთან დამოუკიდებლად წვდომის უზრუნველყოფის მიზნით) შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვა	არ არის შესრულებული

ინდიკატორი N3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მოცემული დროის პერიოდში უზრუნველყოს ვებ გვერდზე სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის განთავსება.	შესრულებულია
ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მოცემული დროის პერიოდში უზრუნველყოს ვებ გვერდზე სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის განთავსება.	შესრულებულია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა, რომელიც მიემართება საგანთა გაღრმავებულ სწავლებას და სასიცოცხლო უნარების განვითარებას, პროექტების განხორციელებას და ეროვნული და დემოკრატიული ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნების აღზრდას შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნების პრინციპებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. მისიაში ასახულია დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული თავისუფალი და პასუხისმგებლიანი პიროვნების აღზრდის მიზანი, ასევე მოსწავლეთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სოციალური, ფიზიკური და ემოციური განვითარების მხარდაჭერა. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთა თვითმმართველობისა და კლუბების საქმიანობაში, სადაც მუშაობენ სხვადასხვა შემეცნებით და სოციალურ პროექტებზე, მათ შორის ადგილობრივ საზოგადოებასთან/თემთან თანამშრომლობით. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სკოლის ჩამოყალიბებას სოციო-კულტურულ სივრცედ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ (2022 წლის 28 დეკემბრის ბრძანება N102/1). სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილნი არიან სხვადასხვა საგნის მასწავლებლები

(ინგლისური ენა, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, დაწყებითი საფეხური) და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სკოლის დირექტორის მიერ სამეურვეო საბჭოს სხდომაზე გაკეთებული განმარტებით, ფილოსოფიის შემუშავების პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს: თავდაპირველად ხორციელდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, შემდგომ სამუშაო ჯგუფი ამუშავებს შესაბამის პროექტს, რომელიც გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან უკუკავშირის მიღების მიზნით. თუმცა, სკოლამ ვერ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ვერც სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს ვერ დადასტურდა ფილოსოფიის მუშაობაში მათი ჩართულობა რაიმე ფორმით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლამ ვერ დაადასტურა სასკოლო საზოგადოების რეალური მონაწილეობა სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვისა და ღირებულებების) შემუშავების პროცესში.

<u>ხარვეზი.</u> სკოლამ ვერ დაადასტურა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ აიღო ვალდებულება , რომ მიმდინარე წლის 10 მაისიდან 15 ივნისამდე მოახდენს სკოლის ფილოსოფიის რევიზირებას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „ ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცა რეკომენდაცია სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 10 მაისი - 2026 წლის 15 ინისი, უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის რევიზირება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფის (2022 წლის 28.12. ბრძანება N102/1) მიერ. ჯგუფის დამტკიცების ბრძანებიდან ირკვევა, რომ ჯგუფი შეიმუშავებს ფილოსოფიის პროექტს და 2023 წლის 28 თებერვლამდე განსახილველად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, განხილვის შემდეგ დასამტკიცებლად წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 7 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N07. სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად ერთ-ერთი განსახილველი საკითხი იყო სკოლის ფილოსოფია. გამომდინარე იქიდან, რომ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან და სხდომას ესწრებოდნენ მასწავლებლები, მშობელი და მოსწავლე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რადგან ჩანს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ფილოსოფიის პროექტის განხილვის პროცესში.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია სკოლამ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გააზიაროს, სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებთან, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და ინფორმირება სკოლის ფილოსოფიის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს სკოლა

. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის სხდომის ოქმი 07;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას 2023 წელს შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (2023 წლის 28 მარტი ბრძანება N16/1). მეთოდოლოგიის მიხედვით დირექტორი განსაზღვრავს სტრატეგიულ დაგეგმვაზე მომუშავე ჯგუფს, თუმცა არ აკონკრეტებს შემადგენლობას, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში არ **გამორიცხავს გარეშე პირების ჩართულობას.** სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული ჯგუფის ფორმირების ბრძანება (2022 წლის 28 დეკემბერი N102/2) რომლის თანახმადაც, ჯგუფის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა საგნის მასწავლებლები, ორი მშობელი, ერთი მოსწავლე და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას.

რჩევა: სასურველია სკოლამ გადახედოს სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიას და სკოლაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად დააკონკრეტოს სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობა

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (2023 წლის 28 მარტი ბრძანება N16/1) საფუძველზე სკოლას, სამუშაო ჯუფის მიერ (2022 წლის 28 დეკემბერი ბრძანება N102/2), შემუშავებული აქვს 2020-2027 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა.

2020-2027 წლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია 2023 წლის 28 ივნისის სამეურვეო საბჭოს სხდომის N06 ოქმით (მტკიცებულება ი.კ-ს სამსახურეობრივი ბარათი) სკოლის დირექციის წარმომადგენელთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ 2023 წელს სკოლამ, ავტორიზაციის სტანდარტის ცვლილების შემდეგ განახორციელა 2020 წელს დამტკიცებული ფილოსოფიის რევიზია და რევიზიის საფუძველზე სკოლის სტრატეგიული გეგმა გადანაწილდა შვიდ წელზე (2020-2027 წწ). **2**023 წლის 28 ივნისის სამეურვეო საბჭოს სხდომის N06 ოქმით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა არის 7 წლიანი. გეგმა განსაზღვრავს სკოლის ძირითად მიმართულებებსა და აქტივობებს შვიდი წლის განმავლობაში. სტრატეგიული გეგმა სტრატეგიულ მიზნებთან ერთად მოიცავს შესაბამის აქტივობებსა და განხორციელების პერიოდს. რაც შეეხება სტრატეგიული გეგმის მიმართებას სკოლის ფილოსოფიასთან უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ ჯერ დაამტკიცა სტრატეგიული განვითრების გეგმა (2023 წლის 28 ივნისი, სამეურვეო საბჭოს სხდომა N06), ხოლო შემდეგ შეიმუშავა ფილოსოფია (2023 წლის 7 სექტემბერი პედსაბჭოს სხდომა N07) აღნიშნული ორი დოკუმენტის ანალიზით დადგინდა რომ სტრატეგიულ გეგმა თავსებადია ხედვასთან.

სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და შვიდწლიანი, რაც დასტურდება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით რომლის მიხედვითაც ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავება იწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის მიწურულს.

სკოლამ, ასევე **წარმოადგინა 2026 წლის 31 მარტის N33 ბრძანება, რომლის მიხედვითაც ძალადაკარგულად ცხადდება სამეურვეო საბჭოს 2020 წლის 4 სექტემბრის N5 ოქმით დამტკიცებული 2020-2026 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა და მტკიცდება 2020-2027 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რაც ერთს მხრივ ეწინააღმდეგება** საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 -ე ბრძანებას, რომლის მიხედვითაც სკოლის დირექტორმა სკოლის განვითარების სტრატეგია დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს და მეორეს ხრივ სკოლის დირექტორის უფლებამოსილების გადაჭარბებასთან გვაქვს საქმე რადგან გააუქმა სამეურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გავითარების გეგმა.

ხარვეზი. სტრატეგიული განითარების გეგმა დამტკიცებული და გაუქმებულია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

დაწესებულებამ არგუმენტრებულ პოზიციაში წაარმოადგინა ბრძანება N38 (21 აპრილი, 2026 წ.) სკოლის დირექტორის 2026 წლის 31მარტის N33 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია“.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას შემუშავებული აქვს 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. გეგმა განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე 2025 წლის 10 სექტემბერს და დამტკიცებულია 2025 წლის 15 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლამ 2024-2025 სასწავლო წელს განახორციელა ერთწლიანი გეგმის მონიტორინგი, გააკეთა SWOT ანალიზი, ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიმართულებებს და ასახავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ინდიკატორებს, რესურსებს და შესრულების პერიოდს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმა, რომელიც მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებსა და შესაბამის რესურსებს. სამოქმედო გეგმის განხორციელება რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- 2020-2027 წლის სტრატეგიული გეგმა;
- სტრატეგიული გეგმის დამტკიცების ბრძანება N33 (2026 წლის 31 მარტი);
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6 (2023 წლის 28 ივნისი);
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N7 (2023 წლის 7 სექტემბერი);
- სტანდარტთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (2023 წლის 28 მარტი ბრძანება N16/1). მეთოდოლოგია მოიცავს მცირე ინფორმაციას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ეტაპების შესახებ. სკოლას 2023 წლის 22 დეკემბერს N156 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სტრატეგიული განვითარების მონიტორინგის მექანიზმი“. მექანიზმი მიზნად ისახავს, დასახული მიზნების მიღწევის კონტროლს, ხარვეზების იდენტიფიცირებას და საჭირო კორექტირების შეტანას. როგორც მექანიზმშია აღწერილი, მექანიზმი აუცილებელია იმისთვის, რომ შეფასდეს რამდენად სწორად მიმდინარეობს სტრატეგიული განვითარება. მექანიზმის მიხედვით, სკოლა მონიტორინგის მიზნით ქმნის მონიტორინგის ჯგუფს.

რჩევა. სასურველია სკოლამ სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში დეტალურად გაწეროს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სკოლას 2023 წლის 22 დეკემბერს N156 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სტრატეგიული განვითარების მონიტორინგის მექანიზმი“, რომლის მიხედვითაც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის შედეგები უნდა ფორმდებოდეს ანგარიშის სახით. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა 2023 წლის 28 ივნისის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N06, რომელიც ასახავს სტრატეგიული გეგმის განხილვისა და შეფასების პროცესს. ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს გასული წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშიც. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე არ დასტურდება, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი.

ხარვეზი. სკოლამ ვერ დაადასტურა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების ფაქტი არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ აიღო ვალდებულება, რომ 2026 წლის 10 მაისიდან 2026 წლის15 ივნისამდე სკოლა განახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პრროცესში სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ექსპერტთა ჯგუფა ვერ გაიზიარა სკოლის პოზიცია, რაც განპიროებებულია იმ გარემოებით, რომ იდენტიფიცირებული ხარვეზი უკავშირდება უკვე დმდგარ ფაქტობრის გარემოებას, რომლის კორექტირება შემდგომ პერიოდში ვეღარ განხორციელდება“.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლას სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმასთან ერთად, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები განთავსებული აქვს სკოლების პორტალზე, შესაბამის ველში. ამ გზით სკოლა უზრუნველყოფს განხორციელების შედეგების საჯაროობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლი წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში, რომლის საფუძველზეც შემუშავებული აქვს 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ამასთანავე, სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა შესრულების შედეგებს აქტიურად იყენებს შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების მონიტორინგის მექანიზმი;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N06;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

საშტატო განრიგის მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს სკოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ბუღალტერს, საქმისმწარმოებელს, 24 მასწავლებელს, ექიმს, 2 დამლაგებელს, 2 დარაჯს, 1 ცეცხლფარეშს. საშტატო განრიგი შეთანხმებულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან (24/03/2026წ. MES 1 26 0000354871). სკოლაში ფუნქციონირებს

მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები, დისციპლინური კომიტეტი. საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, პერსონალის ფუნქციებში და შესაბამის დებულებებში (სამეურვეო საბჭოს დებულება, კათედრების დებულება, დისციპლინური კომიტეტის დებულება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, დამრიგებლის დებულება). სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობენ ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და სკოლის მიერ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის შემუშავებული დებულებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, პასუხისმგებელი პირები განსზღვრულია მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ხორციელდება გარკვეული უფლება მოვალეობები დელეგირება დასაქმებულ პირებსა თუ სხვადასხვა მიზნით დაკომპლექტებულ ჯგუფებზე. დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, სკოლის პერსონალის ფუნქციებისა ანალიზით დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

1. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია და დუბლირება არ იკვეთება. დასაქმებულთა მოვალეობები განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (საქართველოს შრომის კოდექსი, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი და სხვა ნორმატიული აქტები). სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებლობები გადანაწილებულია თანამშრომელთა კომპეტენციისა და დაკავებული პოზიციების შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წევრებთან. რესპონდენტებმა განმარტეს, თუ როგორ უწყობენ ხელს თავიანთი ფუნქციების ფარგლებში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების, პერსონალის ხელშეკრულებების, საშტატო განრიგის, სტრუქტურული ერთეულების დებულებების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განახორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Emis ბაზის მონაცემები;
- საშტატო განრიგი;
- ხელშეკრულებები;
- კათედრის დებულება;
- დამრიგებლის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- პედაგოგიური საბჭოს დებულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება შინაგანაწესით, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის წესით. წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით რაც შეუსაბამოა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 ბრძანებასთან ,,საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო, ხოლო დასამტკიცებლად წარადგენს სკოლის დირექტორი. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, მათ შორის: სამუშაო დროის რეჟიმს, დასვენებისა და შვებულების წესებს, შრომის ანაზღაურების გაცემის პირობებს, შრომის პირობების დაცვას, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმებსა და გამოყენების წესს, მატერიალურ პასუხისმგებლობას, საჩივრის განხილვის პროცედურებს, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვას, აგრეთვე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ზოგად ნორმებს. დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალის შერჩევის, მიღების, პროფესიული განვითარების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზოგად პრინციპებს. მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი არეგულირებს მასწავლებელთა დასაქმების პროცედურებს. წარმოდგენილი წესით განსაზღვრულია საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობა, თუმცა არ არის დაკონკრეტებული კომისიის სავალდებულო შემადგენლობა, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

აღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლები, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174 ბრძანებასთან. სკოლას არ აქვს გაწერილი, თუ რა წესითა და პროცედურებით ხორციელდება სკოლაში დასაქმებული პირების (არამასწავლებელთა), აგრეთვე სამედიცინო პერსონალისა და სპეციალური მასწავლებლის შერჩევა. წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში ექიმის პოზიციაზე პირი დასაქმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ განსაზღვრული სკოლის სამედიცინო პერსონალის შერჩევის წესის დაცვით, ხოლო მასწავლებლების შერჩევისას დაცულია მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ მიერ დადგენილი რეგულაციები, ხოლო არამასწავლებლების დასაქმება ხორციელდება დირექტორთან გასაუბრების გზით.

სკოლას მიეცა რჩევა სასურველია:

- **მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესში უფრო დეტალურად განისაზღვროს საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების პრინციპები. კერძოდ, მითითებული იყოს არა მხოლოდ კომისიის წევრთა რაოდენობა, არამედ ის მოთხოვნები, რომელთა საფუძველზეც ხდება კომისიის წევრთა შერჩევა;**
- **განისაზღვროს სპეციალური მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი;**
- **განისაზღვროს სამედიცინო პერსონალისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების (არამასწავლებელთა) შერჩევისა და დასაქმების წესი, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ერთგვაროვან პრაქტიკას**

ხარვეზი. **სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ, რაც არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 ბრძანების „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებს**

არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ წარმოადგინა 2026 წლის 3 აპრილის ბრძანება N37, რომლითაც ძალადაკარგულად გამოაცხადა დირექტორის მიერ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება (2026 წლის 18 მარტის ბრძანება N18) და ასევე წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 6 აპრილის სხდომის ოქმი N2, რომლითაც დასტურდება, რომ სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „ ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია“

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა წინასწარ რეაგირებს შესაძლო საკადრო გამოწვევებზე. კერძოდ, მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის მიხედვით კონკურსი ცხადდება იმ პოზიციაზეც, რომელიც გამოცხადების მომენტში არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე ვაკანტური იქნება. რაც წარმოადგენს პრევენციული დაგეგმვის მაგალითს. ამასთან, სკოლაში დანერგილია თანამშრომელთა ურთიერთჩანაცვლების პრაქტიკა, რაც გულისხმობს ფუნქციების მიზნობრივ დელეგირებას თანამშრომელთა დროებითი არყოფნის (შვებულება, ავადმყოფობა, მივლინება და სხვა) შემთხვევაში. კერძოდ, მასწავლებლის არყოფნისას სასწავლო საათები ნაწილდება იმავე საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლებზე. აღნიშნული პრაქტიკა წარმოადგენს ინტერვენციული რეაგირების მექანიზმს. დამატებით, სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დირექციის წინასწარი ინფორმირების წესს ასევე დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეებს, ხოლო დასაქმებულთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და რეგულარული უკუკავშირის მიცემის პრაქტიკა ხელს უწყობს შესაძლო რისკების დროულ იდენტიფიცირებასა და პრევენციას. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებული პერსონალის მართვის პოლიტიკა არის როგორც პრევენციული, ისე ინტერვენციული

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას, სკოლაში არსებული თითოეული პოზიციისათვის, შემუშავებული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც ეყრდნობა ვაკანსიის გამოცხადებისას. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კონკრეტული ვაკანტური პოზიციისთვის წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება სკოლის დირექტორის ბრძანებით და ქვეყნდება საჯაროდ teacherjobs.ge პლატფორმაზე. სკოლა აღნიშნული მოთხოვნების განსაზღვრისას ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისი ნორმებით. რაც შეეხება სკოლის ექიმს, ის სკოლაში დასაქმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის

სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით“ განსაზღვრული სკოლის სამედიცინო პერსონალის შერჩევის წესის შესაბამისად. რაც შეეხება სხვა პერსონალის შერჩევას (არა ექიმი, მასწავლებელი და სპეციალური მასწავლებელი), მათი შერჩევა ხდება დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებისას გამოვლინდა რომ რიგ შემთხვევაში, მათ სრულად არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის ან/და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის ან/და უფლების ჩამორთმევის შესახებ (გ.რ, ნ.ძ-სვ.ხ.), ასევე დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მუხლში, რომლითაც რეგულირდება სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო და დასვენების დრო სკოლა ეყრდნობა 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანებას, რომელიც აღარ არის მოქმედი რეგულაცია, ხელშეკრულებაში ასევე არ არის მითითებული შრომის ანაზღაურების ოდენობა, მიუხედავად იმისა რომ ამას განსაზღვრავს საქართველოს შრომის კოდექსი და ამასთან თვითონ ხელშეკრულებაშიც მითითებულია, რომ დასაქმებული ვალდებულია დროულად გადაუხადოს დასაქმებულს **წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური.** მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებების ნაწილში არ არის მითითებული მასწავლებლის სტატუსი.

ხარვეზი

- სკოლაში დასაქმებულთა პირად საქმეებში არ არის სრულად წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის ან/და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის ან/და უფლების ჩამორთმევის შესახებ; სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა დასაქმებულთა ცნობები ნასამართლობის ან/და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის ან/და უფლების ჩამორთმევის შესახებ, რაც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ.
- შრომითი ხელშეკრულებები არ არის შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგიმა თანამშრომლებთან გაფორმებული ახალი ხელშეკრულებები, სადაც მასწავლებლის სტატუსი მითითებულია, თუმცა სკოლა ისევ ეყრდნობა 126/ნ ბრძანებას ანაზღაურების და სამუშაო დროის განსაზღვრისას. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა სკოლის პოზიცია ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით ვერ გაიზიარა

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

წარმოდგენილი დოკუმენტაციის (emis-ის ბაზის ანალიზი და თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლა) საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალი შემდეგი შემადგენლობით: ექიმი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი და 23 მასწავლებელი. ამასთან, საქმისმწარმოებელი და დირექტორი პარალელურად ახორციელებენ პედაგოგიურ საქმიანობას. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებს მინიჭებული აქვს შესაბამისი პროფესიული სტატუსი, კერძოდ: 16 მასწავლებელი არის უფროსი, 5 - წამყვანი და 1 მენტორი მასწავლებელი. გამონაკლისს წარმოადგენს ერთი უსტატუსო მასწავლებელი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დასაქმებულია მოწვეული მასწავლებლის სტატუსით 5 საათიანი დატვირთვით. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ როგორც პედაგოგიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობით და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები ფუნქციონირებენ გუნდურობისა და თანამშრომლობის პრინციპით. აღნიშნული ჯგუფები რეგულარულად იკრიბებიან სხდომებზე, სადაც მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოფიციალური ოქმების სახით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. საგნობრივი კათედრების თითოეული წევრი აქტიურად არის ჩართული სასწავლო გეგმებისა და კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრების ფარგლებში ხორციელდება გამოცდილების გაზიარება, სწავლების ეფექტიანი მეთოდების განხილვა და საერთო საგანმანათლებლო მიზნებზე დაფუძნებული აქტივობების დაგეგმვა. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობენ საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებაზე. სკოლის პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და საგნობრივ კათედრებს გააჩნიათ სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებული სამუშაო გეგმები. გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრით, რაც უზრუნველყოფს პროცესის დემოკრატიულობასა და გამჭვირვალობას. სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულნი არიან როგორც სკოლის პედაგოგები, ისე დირექციის წარმომადგენლები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გუნდური მუშაობის კულტურას და თანამშრომლობის მნიშვნელობას. მნიშვნელოვანია, რომ შესაბამის საფეხურებზე მოქმედი მოსწავლეთა თვითმმართველობა რეგულარულად იკრიბება, იღებს კოლექტიურ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევის, აქტივობების დაგეგმვისა და ქცევის წესების განსაზღვრის საკითხებზე. თვითმმართველობის წარმომადგენლები ირჩევენ თავიანთ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მონაწილეობას სკოლაში მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში და აძლიერებს დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროცესების ანალიზის, დასაქმებულებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება

მონაწილეობითი მმართველობის, გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობის პრინციპებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას და საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს პერსონალის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მხარდამჭერი მექანიზმები, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციის ზრდასა და პროფესიული განვითარების წახალისებას. შინაგანაწესის თანახმად, სკოლა უფლებამოსილია გამოიყენოს სხვადასხვა სახის წამახალისებელი მექანიზმები, მათ შორის მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფულადი პრემიის გაცემა და სხვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ აღნიშნული მექანიზმები პრაქტიკაში გამოიყენება. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ბრძანებები თანამშრომლებისადმი მადლობის გამოცხადებისა და პრემიის გაცემის შესახებ. ამასთან, კათედრის დებულების მიხედვით, კათედრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად განსაზღვრულია წევრთა შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარება და წარმატების წინაპირობათა განსაზღვრა. ადგილზე გადამოწმებული კათედრის სხდომების ოქმების საფუძველზე დგინდება, რომ აღნიშნული პრაქტიკა რეალურად ხორციელდება და მასწავლებლები სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022 წლის 28 დეკემბრის ბრძანება N102/4 მასწავლებლის კონკურსის ჩატარების წესი;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა ბრძანება N18 , 18 მარტი, 2026 წელი;
- 2023 წლის 22 დეკემბრის ბრძანება N157 მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ;
- 2023 წლის 18 აგვისტოს ბრძანება N74 დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოება რეგულირდება სკოლის შიდამარეგულირებელი აქტით „ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“, მასწავლებელთა მორიგეობის სისტემით და ასევე სკოლის დარაჯის დახმარებით. აღსანიშნავია, რომ სკოლის ეზო არ არის შემოღობილი და დაცული გარეშე პირთაგან.

სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (2023 წლის 14 ივლისის წერილი MIA 023 02031158). სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებით წეროვნის N2 საჯარო სკოლის და საქვაბე შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მათი ფუნქციონირება საფრთხის შემცველი არ არის და ექსპლოატაციისათვის ვარგისია (სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 27/01/2025 წლის წერილი N5000350625. ექსპერტის დასკვნა N000392625). რაც შეეხება სკოლის მიმართვას უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2023 წლის 21 ივლისის აქტი N178 და წერილი MIA 4 23 02209768, რომლის თანახმადაც სკოლის შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. სკოლამ 2023 წლის 11 აგვისტოს დახმარებისთვის მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს (წერილი MES 4 23 0000986344) ხარვეზის აღმოფხვრაში დახმარების მიზნით საიდანაც 2023 წლის 22 აგვისტოს მიიღო პასუხად (წერილი MES 6 23 0001023668) რომ სააგენტოს მხრიდან იგეგმება სააგენტოს

თანამშრომლის მივლინება სკოლაში ინფრასტრუქტურული პრობლემების შესწავლის მიზნით. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით განსაზღვრული ხარვეზები აღმოფხვრილი არ იყო.
ხარვეზი.

- **სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2023 წლის 21 ივლისის აქტის მიხედვით, სკოლის შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს;**
- **სკოლის ეზო არ არის შემოღობილი და დაცული გარეშე პირთაგან.**

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების ვადად და ასევე სკოლის ეზოს შემოღობვისათვის საჭირო პროცედურების განხორციელებისათვის განსაზღვრა პერიოდი 15/04/2026-01/09/2026 წელი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და გასცა რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში (15/04/2026-01/09/2026 წ) სკოლის შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება და სკოლის ტერიტორიის შემოღობვა.
სკოლას მიეცა რჩევა სასურველის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება
ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას
სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ექიმის კაბინეტი. სკოლას დასაქმებული ჰყავს დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მქონე ექიმი, რომელსაც აქვს სახელმწიფო სერტიფიკატები საოჯახო მედიცინაში და შინაგანი მედიცინაში. ექიმის კაბინეტი აღჭურვილია სათანადოდ, ვიზიტის პერიოდში სკოლამ გადასცა კომპიუტერი მოსწავლეთა მშობლების მონაცემებით. სკოლას დამტკიცებული აქვს ,,პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი".
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლის მიერ წარმოდგენილი მიმდინარე წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს მიზანი - „უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა", რომლის მისაღწევად დაგეგმილია შესაბამისი აქტივობები. აღნიშნული აქტივობები მოიცავს სკოლის შიდა და გარე ტერიტორიების დაცვას, სასკოლო

სივრცეში მოქმედი წესების გაცნობასა და მათი დაცვის უზრუნველყოფას, აგრეთვე უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას. მათ შორის აღსანიშნავია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა, მასწავლებელთა მორიგეობის სისტემის დანერგვა და სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლის გარე პერიმეტრი ნაწილობრივ კონტროლდება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მეშვეობით. სკოლის სამ მხარეს განთავსებულია 4 კამერა, რომელთაგან ერთი აკონტროლებს ცენტრალურ შესასვლელს, ორი - შენობის ერთ გვერდით მხარეს, ხოლო ერთი - უკანა ეზოს, სადაც განთავსებულია მცირე ზომის სპორტული მოედანი. შენობის მეოთხე გვერდი (გარე პერიმეტრი) არ კონტროლდება. ამასთან, სკოლის შიდა სივრცეში ვიდეომონიტორინგი არ ხორციელდება. სკოლას ასევე ჰყავს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი (2023 წლის ბრძანება N07 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“. აღნიშნული ბრძანებით რეფერირების პროცედურების განხხორციელებაზე უფლებამოსილ პირს დავალებული აქვს ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ „ 06/ნ ბრძანებით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება), რომელმაც გაიარა შესაბამისი გადამზადება მანდატურის სამსახურში .

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სკოლას არ აქვს სრულად ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი დაფარული და შესაბამისად ვერ ახორციელებს სრულყოფილ მონიტორინგს, მაშინ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობის - ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელება ეჭვქვეშ დგება.

ხარვეზი: სკოლა ვერ უზრუნველყოფს ვიდეომონიტორინგის სისტემის დანერგვასა და ფუნქციონირებას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მოთხოვნების შესაბამისად.

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, სკოლამ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა პერიოდი 06.05.2025-30.12.2026. სკოლამ ასევე წარმოადგინა 2025 წლის 6 მაისს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გაგზავნილი წერილი, რომლითაც ითხოვდა 4 ვიდეოსამეთვალყურეო კამერისა და ჩამწერი აპარატის გამოყოფას. აღნიშნული წერილი სკოლამ ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე ვიზიტის დროსაც წარუდგინა. ექსპერტთა ჯგუფმა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ვერ გაიზიარა, ვინაიდან წარმოდგენილ წერილზე 2025 წლის დეკემბრიდან 2026 წლის 1 აპრილამდე პერიოდში შესაბამისი რეაგირება არ განხორციელებულა. ამასთანავე, აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირი ამჟამად აღარ ფუნქციონირებს.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლას, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებული აქვს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისი შიდა რეგულაცია „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“ და განსაზღვრული ჰყავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლაში შემუშავებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც მიზნად ისახავს პირველკლასელების, მობილობით გადმოსული მოსწავლეების, ასევე სსსმ და შშმ პირების სასწავლო პროცესში ეფექტიან ჩართვასა და სკოლასთან ადაპტაციას. დოკუმენტში განსაზღვრულია პროცესში ჩართული მხარეების, მათ შორის დამრიგებლისა და მშობლის როლები და პასუხისმგებლობები, ასევე დეზადაპტაციის ნიშნები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებასა და შესაბამის რეაგირებას. გარდა აღნიშნულისა სკოლა ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას. კერძოდ, კლასის დამრიგებლები სისტემატურად ატარებენ სადამრიგებლო საათებს, რომელთა ფარგლებში ასაკის შესაბამისი მიდგომებით განიხილება უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნის პრინციპები, დისკრიმინაციის პრევენცია, მოსწავლეთა უფლებები, ტოლერანტობა, სხვადასხვა აღმსარებლობისა და წარმომავლობის ადამიანთა პატივისცემა, სოციალური პასუხისმგებლობები და ღირებულებები. მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტში, მათ შორის ტოლერანტობისა და ბულინგის პრევენციის თემებზე, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და მხარდამჭერი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით დასაქმებულია 2 დამლაგებელი. მათთან გაწერილ შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია შესაბამისი ვალდებულებები. სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლის ექიმი ზედამხედველობს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში მუშავდება მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მშობლების პერსონალური მონაცემები. მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, რომელიც უკავშირდება ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას, სქესობრივ დანაშაულზე უფლების ჩამორთმევის შესახებ ინფორმაციას და სხვა. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემების დაცვის მექანიზმები, სადაც განსაზღვრულია იმ პირთა ვალდებულებები, რომლებსაც უწევთ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება. სკოლის თანამშრომელთა ნაწილთან სკოლას ხელშეკრულებაში აქვს ჩაშენებული პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების უფლება რაც ხარვეზია, რადგან პერსონალურ მონაცეთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე მიცემული თანხმობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ხოლო ხელშეკრულებაში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების ჩაშენება არღვევს ნებაყოფლობითობის პრინციპს ვინაიდან, დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ფაქტობრივად „იძულებული“ ხდება დაეთანხმოს პერსონალური მონაცემების დამუშავების ნაწილსაც. რაც შეეხება მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვებას, სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დამრიგებლის მიერ მოსწავლეთა მშობლებისგან მოპოვებული თანხმობა. კერძოდ, ყველა მშობელი ერთდროულად ერთ საერთო ფორმატზე ხელის მოწერით ეთანხმება, რომ სკოლამ დაამუშაოს მათი შვილების პერსონალური მონაცემები.

ვიზიტის პერიოდში ასევე გამოვლინდა, რომ სკოლა ვერ უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. კერძოდ, სკოლის მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება სამასწავლებლოში ღია კარადებში, დასაქმებულთა პირადი საქმეები კი - დირექტორის ოთახში დახურულ კარადაში, რომელიც არ იკეტება საკეტით. რაც შეეხება ვიდეოსამეთვალყურეო მონიტორს ის განთავსებულია გაიჯარავებულ ფართში, რომელშიც ფუნქციონირებს სკოლის ბუფეტი.

ხარვეზი.

- **სკოლა ვერ უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული პერსონალურ მონაცემთა სათანადოდ დაცვას;**
- **სკოლას დასაქმებულებთან და მოსწავლეთა მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლება მოპოვებული აქვს კანონმდებლობის დარღვევით.**

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა დასაქმებულთან და მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან კანონმდებლობის დაცვით მოპოვებული თანხმობები პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში პერსონალურ მონაცემთად დაცვის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მუხლი კვლავ ჩაშენებულია.

რაც შეეხება პერსონალურ მონაცემთა სათანადო დაცვას, რაც უკავშირდება ბუფეტისთვის გამოყენებულ, იჯარით გაცემულ ფართში განთავსებულ ვიდეოსამეთვალყურეო მონიტორს, ასევე ღია კარადებში დაცულ პირად საქმეებს, აღნიშნულ

საკითხებთან დაკავშირებით სკოლას არგუმენტირებულ პოზიციაში არ წარმოუდგენია რაიმე სახის განმარტება ან პოზიცია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხები კვლავ ხარვეზად რჩება.
ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის თანამშრომლები, რომლებიც ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს, უზრუნველყოფილნი არიან ინდივიდუალური კომპიუტერებით, რომლებიც დაცულია პაროლის სისტემით. ხოლო ელექტრონულ სისტემებში (eschool, eflow, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი) შესვლა ხორციელდება ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით. პერსონალურ მონაცემთ დაცვის მექანიზმებით განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებსაც ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მონაცემებზე, განსაზღვრულია მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე, სკოლაში დამუშავებულ მონაცემების, ელექტრონულ ბაზაში მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე უფლებამოსილი პირები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 დეკემბრის N157 ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო და განსაზღვრულია შესაბამისი უფლებამოსილი პირი. სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის დამადასტურებელი მხოლოდ ორი ოქმი (2024 წლის იანვარი და აპრილი). პირველი ოქმით დასტურდება მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა, ხოლო მეორე ოქმით სკოლის მოსწავლეებისთვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის დაგეგმვა. წარმოდგენილ მასალებში არ იკვეთება, რომ მრჩეველთა საბჭო ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების სისტემურ და პერიოდულ შეფასებას და რომ შეფასების შედეგები გამოიყენება აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. ამასთან, წარმოდგენილი მასალების მიხედვით აღნიშნულ საბჭოს 2024 წლის შემდგომ საქმიანობა აღარ განუხორციელებია
ხარვეზი. სკოლაში არ ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგებზე დაფუძნებული გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის თანახმად, სკოლა იღებს ვალდებულებას, განახორციელოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგებზე დაფუძნებით დაგეგმოს გაუმჯობესების ღონისძიებები. თუმცა, სკოლას აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების ვადები განსაზღვრული არ ჰქონდა, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა სკოლის პოზიცია ვერ გაიზიარა.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N07 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“ (17 თებერვალი, 2023 წელი);
- უფლებამოსილი პირის გადამზადების სერტიფიკატი
- ბრძანება N70 (11 აგვისტო, 2023 წ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების დამტკიცების თაობაზე;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- ბრძანება N157 მრჩეველთა საბჭოს განსაზღვრის თაობაზე (2023 წლის 22 დეკემბერი);
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ამონაწერით საჯარო რეესტრიდან სკოლა მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, წეროვანში, 2027.00 კვ.მ მიწის ფართობზე. სკოლა ფლობს ერთ შენობა - ნაგებობას საერთო ფართით 1061.9 კვ.მ. მესაკუთრე არის სახელმწიფო და მოსარგებლე სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N2 საჯარო სკოლა მოსარგებლის არსებობის ვადით. საკადასტორო კოდი N72.08.22.231 (ამონაწერის მომზადების თარიღი 19/11/2024). სკოლის მფლობელობაშია ასევე საქვაბე, რომელიც არ არის მითითებული საჯარო რეესტრის ამონაწერში.

სკოლის შენობა ორსართულიანია. ორივე სართულზე განლაგებულია საკლასო ოთახები (ჯამში 12 საკლასო ოთახი). სკოლის შენობაში არის ასევე სამასწავლებლო, დირექტორის ოთახი, რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი და გაიჯარავებული ფართი სკოლის ბუფეტისათვის. ერთ ოთახში განთავსებული სკოლის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი და საქმისმწარმოებლის სამუშაო სივრცე, სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის, ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლის ეზოში მოწყობილია მცირე სპორტული მოედანი. საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მერხებით და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით, დაფებით. სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის სკოლას აქვს 6 პროექტორი, 42 კომპიუტერი, დამატებით 4 კომპიუტერი გადაცემული აქვთ დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, პრინტერი და ქსეროქსი ჯამში 4 ცალი. სკოლა პერიოდულად ახდენს სპორტული ინვენტარის განახლებას (წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადებები).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომლის მიზანია სკოლაში არსებული რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანად წარმართვა. აღნიშნული დოკუმენტი ასევე ემსახურება საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობასა და მოსწავლეებში

გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას. წესი მოიცავს კომპიუტერული ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის რეგულაციებსაც, რაც უზრუნველყოფს რესურსების ორგანიზებულ და მიზნობრივ გამოყენებას. სკოლის ნებისმიერ წევრს აქვს შესაძლებლობა (იმ პერიოდში როდესაც არ მიმდინარეობს საინფორმაციო ტექნოლოგიების გაკვეთილი), ისარგებლოს სივრცით სადაც წიგნადი ფონდი და კომპიუტერული კლასია ერთად განთავსებული. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას მასწავლებლებს ხელმისაწვდომი აქვთ სხვადასხვა ტექნიკური რესურსი, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, პრინტერები და სხვა საჭირო საშუალებები. ამასთან, სხვადასხვა საგანმანათლებლო, სპორტული და ინტელექტუალური აქტივობების ფარგლებში, მოსწავლეები და მასწავლებლები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი ინვენტარით, რაც ქმნის მრავალფეროვან და აქტიურ სასწავლო გარემოს. ზემოაღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ სკოლა ეფექტიანად მართავს და იყენებს მატერიალურ რესურსებს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის მიხედვითაც დარეგულირებულია ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური რესურსების აღრიცხვა/დამუშავების, სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ საბიბლიოთეკო სერვისისა და მასში განთავსებული ლიტერატურის გამოყენების ხელმისაწვდომობის საკითხები. სკოლას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი და არ აქვს ცალკე სივრცე/ოთახი ბიბლიოთეკისათვის. საბიბლიოთეკო ფონდი, კომპიუტერული კლასი და საქმისმწარმოებლის სამუშაო სივრცე ერთ ოთახშია განთავსებული, რაც თავისთავად ზღუდავს საბიბლიოთეკო სერვისებზე შეუზღუდავ ხელმისაწვდომობას სამუშაო დროის ნებისმიერ პერიოდში. ბიბლიოთეკართან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა, ინტერვიუს დროს, აღნიშნა რომ არ აქვს ბიბლიოთეკარის შტატი და მის ფუნქციებს ახორციელებენ თვითონ დირექტორი და საქმისმწარმოებელი, თუმცა არც შრომითი ხელშეკრულებით და არც შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით (ბრძანებით) ამ ფუნქციის ოფიციალური შეთავსება რომელიმე დასაქმებულისათვის არ დასტურდება.

სკოლის საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს 783 ერთეულ მხატვრულ ლიტერატურას და 5438 ერთეულ სასკოლო სახელმძღვანელოს. სკოლას სამოქმედოთ გეგმით განსაზღვრული აქვს წიგნადი ფონდის შევსება წლის მანძილზე.

ხარვეზი. სკოლა ვერ უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას რადგა არ ჰყავს ბიბლიოთეკარი .

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სტანდაარტთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც აიღო ვალდებულება, რომ მიმდინარე წლის 10 მაისიდან 30 სექტემბრამდე მიმართავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საშტატო განრიგის კორექტირებასთან დაკავშირებით . ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით

„ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია მეტწილად“ სკოლას კი მისცა რეკომენდაცია 2026 წლის 10 მაისიდან 30 სექტემბრამდე უზრუნველყოს საშტატო განრიგის კორექტირება, ბიბლიოთეკარის შტატის განსაზღვრა

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლებისათვის საჭირო ფიზიკურ გარემოს. შენობა არის ორსართულიანი. შენობის შემოსასვლელში არის პანდუსი, პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი, სამედიცინო კაბინეტი და საკლასო ოთახები. მეორე სართულზე საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, სამასწავლებლო, რესურს ოთახი და სხვა. სკოლას არ აქვს ლიფტი ან/და პანდუსები, შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მეორე სართულზე განთავსებულ სივრცეებზე წვდომა, მათ შორის კომპიუტერულ ლაბორატორიაზე და რესურსოთახზე, შეზღუდულია.

ხარვეზი. სკოლის შენობა არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი ადაპტირებული ინფრასტრუქტურით (ლიფტი ან/და პანდუსი), რაც ზღუდავს შშმ პირებისთვის შენობის სრულად ხელმისაწვდომობას. კერძოდ, მეორე სართულზე გადაადგილებას.

სკოლამ, სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, სკოლის შენობის შშმ პირებზე ადაპტირებისათვის განსაზღვრა პერიოდი 2026 წლის 10 მაისიდან 30 დეკემბრამდე. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის პოზიცია, ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია“ და გასცა რეკომენდაცია. სკოლამ აღნიშნულ ვადაში უზრუნველყოს სკოლის შენობის ადაპტირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლა არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფს, რომ მისი ინფრასტრუქტურა გამოყენებული იქნეს სოციო - კულტურული სივრცის ფუნქციით. სკოლის შიდა სივრცეებში, მათ შორის ფოიეებში, განთავსებულია მოსწავლეთა შემოქმედებითი ნამუშევრები, ასევე სხვადასხვა წარმატებული ღონისძიებისა და პროექტის ამსახველი ფოტომასალა, რაც ხელს უწყობს პოზიტიური გარემოს ფორმირებას. მშობლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეხვედრებისა და ღონისძიებების ჩატარებისას სკოლა იყენებს სამასწავლებლოს სივრცეს, რომელიც თავისი მოცულობით იძლევა მრავალფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. მოსწავლეებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სხვადასხვა სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N25 მატერიალური რესურსით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ (26 მარტი, 2026 წ) ;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საინვენტარო აღწერილობა;
- საშტატო განრიგი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია 6 კომპიუტერით და გამოიყენება როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციული პროცესების მხარდასაჭერად. სკოლის ბალანსზე ირიცხება 46 ერთეული კომპიუტერი, რომელთა ნაწილი განკუთვნილია დირექციისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის, რაც ხელს უწყობს ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას. დაწყებითი კლასების მასწავლებლები უზრუნველყოფილნი არიან პერსონალური კომპიუტერებით და აქტიურად იყენებენ მათ სასწავლო პროცესში. სკოლას გააჩნია 6 მოძრავი პროექტორი და 4

პრინტერი, რომლებიც გამოიყენება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებისას. აღნიშნული ტექნიკური რესურსები ხელმისაწვდომია და ინტეგრირებულია ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში. სკოლაში ფუნქციონირებს უსადენო ინტერნეტქსელი. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით და საქმისწარმოებაში იყენებს ელექტრონულ პლატფორმებს (eFlow, eSchool.emis.ge), რაც უზრუნველყოფს პროცესების ოპერატიულობასა და ეფექტიანობას. ამრიგად, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების სრულფასოვან და ეფექტიან წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც მოიცავს ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მარეგულირებელ ნორმებს. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კომპიუტერული კაბინეტით სარგებლობის პირობებს და ითვალისწინებს კომპიუტერული რესურსების გამოყენების წესებს როგორც მოსწავლეებისთვის, ისე სკოლაში დასაქმებული პირებისთვის. დოკუმენტში გაწერილია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისას მომხმარებელთა უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფისა და ტექნიკის მიზნობრივი გამოყენების მოთხოვნები. ასევე განსაზღვრულია შესაბამისი შეზღუდვები, რომლებიც უკავშირდება კომპიუტერში არსებული მონაცემების წაშლას და ტექნიკის არასასწავლო მიზნებისთვის გამოყენებას. მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ მათთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტრესურსები და აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინიციატივით გამოიყენონ კომპიუტერული ტექნიკა სხვადასხვა საგანმანათლებლო მიზნისთვის, მათ შორის შეხვედრებისა და პრეზენტაციების მოსამზადებლად. სკოლის კომპიუტერულ კლასში განთავსებულია 6 კომპიუტერი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მასწავლებლების ერთობლივი მუშაობისა და საჭირო ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობას იმ პერიოდში, როდესაც კაბინეტში არ მიმდინარეობს საგაკვეთილო პროცესი.

სკოლას მიეცა რჩევა, სასურველია შეიმუშაოს კომპიუტერული კლასის გამოყენების მკაფიო გრაფიკი და შესაბამისი შიდა რეგულაცია, რომელიც დაარეგულირებს ტექნიკით სარგებლობის განრიგს ისე, რომ არ შეფერხდეს სასწავლო პროცესი და რესურსის გამოყენება იყოს ორგანიზებული და ეფექტიანი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N25 მატერიალური რესურსით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ (26 მარტი, 2026 წ);
- საინვენტარო აღწერილობა;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eFlow) მეშვეობით, ამასთანავე განსაზღვრულია საკადრო და საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოება, სადაც უნდა აისახოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. ინსტრუქციის მიხედვით, საკადრო ჟურნალში რეგისტრირდება დასაქმებულებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ჟურნალში - მოსწავლეთა მოძრაობასთან დაკავშირებული საკითხები (ჩარიცხვა, ამორიცხვა, მობილობა და სხვა). ასევე განსაზღვრულია ოქმების რეგისტრაცია შესაბამის ჟურნალში. ადგილზე ვიზიტისას დადგინდა, რომ სკოლა პრაქტიკაში არ აწარმოებს ინსტრუქციით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო ჟურნალებს, ხოლო ბრძანებები რეგისტრირდება ერთიანი, თანმიმდევრული ნუმერაციით, საკადრო და საერთო ბრძანებებს შორის განსხვავების გარეშე. აღნიშნული პრაქტიკა არ შეესაბამება თავად სკოლის მიერ დადგენილ საქმისწარმოების წესს.

ხარვეზი: სკოლაში საქმისწარმოების პრაქტიკა არ არის შესაბამისობაში შიდა მარეგულირებელ დოკუმენტთან, საქმისწარმოების ინსტრუქციასთან. სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით დაწესებულებამ აიღო ვალდებულება (2026 წლის 1 მაისიდან 15 ივნისამდე) უზრუნველყოს სკოლის საქმისწარმოების პრაქტიკის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტთან, საქმისწარმოების ინსტრუქციასთან შესაბამისობაში მოყვანა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „**ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული**“ **შეცვალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია“ და გასცა რეკომენდაცია** სკოლამ სტანდარტთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის 1 მაისიდან 15 ივნისამდე) უზრუნველყოს სკოლის საქმისწარმოების პრაქტიკის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტთან, საქმისწარმოების ინსტრუქციასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემას (eflow), რაც უზრუნველყოფს შიდა და გარე კომუნიკაციის, დოკუმენტბრუნვისა და ადმინისტრაციული პროცესების გამარტივებასა და ეფექტურობას. ასევე, სკოლას აქვს eSchool-ის ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა". სისტემის მეშვეობით სრულდება მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი, რაც უზრუნველყოფს მონაცემების სიზუსტესა და პროცესების გამართულ წარმართვას. სკოლა ვაკანსიების (მასწავლებელი, ექიმი, სპეციალური მასწავლებელი) გამოცხადებისთვის იყენებს ელექტრონულ დასაქმების გვერდს teacherjobs.ge, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალე და სწრაფ პროცესს. სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს .ზემოაღნიშნული პრაქტიკა აჩვენებს, რომ სკოლა მართვის პროცესებში აქტიურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

როგორც ვიზიტის დროს, სკოლის პროფილის შესწავლისას დადგინდა, სკოლა იყენებს **eschool.emis.ge** ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, სადაც ასახულია სკოლასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის პერსონალის, მოსწავლეების და მათი მშობლების მონაცემები. აღნიშნულ სისტემაში შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სიზუსტეს, სრული ინფორმირებულობის შესაძლებლობას და სკოლასთან დაკავშირებული პროცესების ეფექტიან მართვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა თანამშრომლობს და სისტემატურად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა უწყებებს, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსცენტრს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. საჭიროების შემთხვევაში, საქმიანობის განხორციელებაზე ითხოვს თანხმობებს და წარადგენს ანგარიშებს. ყოველი წლის 10 დეკემბრისათვის სკოლის დირექტორი წარადგენს ანგარიშს სამეურვეო საბჭოსთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების ინსტრუქცია;
- სკოლის პროფილი **eschool.emis.ge** .

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი https://tinyurl.cx/xPIdD. სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და დაინტერესებულ პირებს აქვთ საშუალება, გაეცნონ სკოლის სხვადასხვა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელზე წვდომაც აქვთ შესაბამის მასწავლებლებსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება ასევე სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო ინფორმაციის გავრცელებას. გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა დასტურდება სკოლაში რეალურად განხორციელებული პროცესებით. სკოლის დირექციამ ინტერვიუში განმარტა, რომ პასუხისმგებლობას იღებს განთავსებული ინფორმაციის სისწორეზე. მშობლებმა და მასწავლებლებმაც დაადასტურეს, რომ საკომუნიკაციო არხებით სკოლიდან მიღებული ინფორმაციის სანდოობა არასდროს დამდაგარა ეჭვქვეშ და არ ყოფილა შეცდომაში შემყვანი.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (2026 წკლის 26 მარტის ბრძანება N24).რომლის თანახმადაც სკოლა აცნობიერებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირის მნიშვნელობას სკოლის განვითარებაში, თუმცა წესში დაკონკრეტებული არ არის მექანიზმები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება უკუკავშირის გამოყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ინტერვიუს დროს დირექციამ განმარტა, რომ სკოლის საკომუნიკაციო არხებიდან მიღებული ინფორმაცია თავს იყრის დირექციასთან, რომელსაც განიხილავს დირექტორი და საჭიროების შემთხვევაში სხვა ჩართული პირები, რის შემდეგაც ხდება სათანადო რეაგირება.

სკოლას მიეცა რჩევა სასურველია განსაზღვროს კონკრეტული მექანიზმები, თუ როგორ მოახდენს სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის დამუშავებას, რეაგირებას და გათვალისწინებას სამომავლოდ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს საკუთარი მოქმედი ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი (https://tinyurl.cx/xPIdD), რომელზეც განთავსებულია მნიშვნელოვანი საჯარო ინფორმაცია. კერძოდ, ვებგვერდზე წარმოდგენილია სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები), შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (2020–2027 წწ.), რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 28 ივნისის №5 სხდომის ოქმით, ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმები (2023–2024 და 2025–2026 სასწავლო წლები). ამასთან, ვებგვერდზე ხელმისაწვდომია მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესი; პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები; საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები; ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და სკოლის შინაგანაწესი.

ვიზიტის პერიოდში სკოლას ვებგვერდზე განთავსებული არ ჰქონდა ინფორმაცია სკოლის ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის სახით. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა აღნიშნული ანგარიში და განათავსა ასევე ვებგვერდზე. შესაბამისად ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული“ შეიცვალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებგვერდი https://tinyurl.cx/xPIdD.;
- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- საქმისწარმოების ინსტრუქცია;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში შემუშავებულია სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტი, კერძოდ: შინაგანაწესი; მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმები; მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესი; მოსწავლეთა ადაპტაციის წესი; მოსწავლის ქცევის კოდექსი; ასევე, დამტკიცებულია შიდა ინსტრუქცია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით; სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ზოგადსაგანამანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ. ასევე, გაფორმებულია ხელშეკრულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის, უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ. ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას მხარეების ვალდებულებების, უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ.

სკოლის შინაგანაწესში ასახულია მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აკრძალვები, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლის წახალისების, დისციპლინური წარმოების წესი და სხვა. მოსწავლეთა ადაპტაციის წესის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას, პირველკლასელთა, საფეხურიდან საფეხურზე, მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა და სსსმ მოსწავლეთა ინტეგრაციას. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის უფლებები სასწავლო პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმა არეგულირებს შემაჯამებელის აღდგენის პროცესს. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეს შეუძლია შემაჯამებელი დავალების აღდგენა ორი კვირის ვადაში, შესაბამისი გრაფიკით განსაზღვრულ დროს. მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ინფორმირებული არიან საკუთარი უფლებებისა და რეალიზების გზების შესახებ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლეებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის შიდა რეგულაციები გამჭვირვალეა. მოსწავლეთა ინფორმირებას კანონით გათვალისწინებული უფლებების შესახებ უზრუნველყოფენ დამრიგებლები, კლასის საათის ფარგლებში. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მეათე კლასის დამრიგებლის სამუშაო გეგმა. გეგმაში, გაწერილია ისეთი საკითხების შესახებ საათის ჩატარება, როგორიცაა ბულინგი, ნაადრევი ქორწინება და სხვა. ამასთანავე სკოლაში ხორციელდება პროექტები, უფლებების შესახებ, ცნობიერების ამაღლების მიზნით. სკოლის ვიზუალური, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის დათვალიერების საფუძველზე ჩანს, რომ ინფორმაცია უფლებების მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ, ხელმისაწვდომია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე. ინტერვიუს დროს, მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გაცნობა ხდება საინფორმაციო შეხვედრებზე, ძირითადად, დამრიგებლის საათზე. რეგულაციები არის გამჭვირვალე და გაზიარებულია

სასკოლო საზოგადოების მიერ. შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლამ, ექსპერტთა ვიზიტის დროს, წარმოადგინა მოსწავლის/მშობლის/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები მასში ასახულია მოსწავლის და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები, ხელშეკრულებაში ასახულია ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემთა გამოყენების შესახებ. ხელშეკრულება მოიცავს მოქმედების ვადებსა და შეწყვეტის პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებს და სხვა დამატებით პირობებს. მშობელსა და სკოლას შორის ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ, სადაც აღწერილია მშობლის, მოსწავლის და სკოლის უფლება-მოვალეობები. აღნიშნულის ფარგლებშიც ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით. სკოლის შიდა დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე ჩანს, რომ მშობლები აფორმებენ სკოლასთან ხელშეკრულებას და იცნობენ ხელშეკრულებაში წარმოდგენილ ინფორმაციას, რაც დასტურდება ხელშეკრულებაზე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმი;
- მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმები;
- მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესი;
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის პირველ კლასში მიღების წესები და ეტაპები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, სხვადასხვა კლასში მოსწავლის მიღების წესი, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, მობილობის პირობები. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევისა და მობილობის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის პორტალზე. სასკოლო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება ასევე ხორციელდება დამრიგებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

ამასთან, სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესი არ მოიცავს ინფორმაციას უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ.

რჩევა. სასურველია სკოლამ მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესში განსაზღვროს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს მობილობის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადასვლის დოკუმენტაცია, შიდა ბრძანებები, მოსწავლეთა პირადი საქმეები. სკოლას არ აქვს სტატუსის შეჩერების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პრაქტიკა, შესაბამისად აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მტკიცებულებები არ დამუშავებულა, ექსპერტთა ჯუფის მიერ. ვიზიტისას ექსპერტების მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა მოსწავლეთა პირადი საქმეები. პირადი საქმეების გადამოწმების საფუძველზე გაირკვა, რომ სკოლას სრულყოფილად არ აქვს პირადი საქმეები ნაწარმოები. მაგ. რამდენიმე მოსწავლის პირად საქმეში არ იყო მითითებული მობილობის შესაბამისი ინფორმაცია.

ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა პირად საქმეებში შეტანილი ინფორმაცია მოსწავლის შესახებ არ იყო სრულად ასახული (ინფორმაცია მობილობის შესახებ). არგუმენტირებულ პოზიციას დაწესებულებამ დაურთო სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ნიმუშად მოსწავლის პირადი საქმე, რომელიც უკვე სრულად იყო შევსებული. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკამყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია“

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში და სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყოფს მომსახურების სახეებისა და პირობების სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობას. ვიზიტის დროს როგორც მოსწავლეებთან და პედაგოგებთან საუბრისას დადგინდა, დამრიგებლებისა და დირექციის მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, სხვადასხვა ღონისძიებებისა და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, სკოლის ვებგვერდზე ატვირთულია მარეგულირებელი დოკუმენტები მაგ: შინაგანაწესი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სერვისების და დამატებითი აქტივობების შესახებ ინფორმაციის ყველასათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლა ინფორმაციას აწვდის კლასის დამრიგებლების მეშვეობით, რომლებიც მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. აღნიშნული დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითაც. სკოლას ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელების, განახლებისა და გამჭვირვალობის მიზნით, ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობას. სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 26 მარტის N29 ბრძანება ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2026 წლის 26 მარტის N29 ბრძანება ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესი;

- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- სკოლის ვებგვერდი;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი. რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. დოკუმენტით განსაზღვრულია ადაპტაციის ფაქტორები, დეზადაპტაციის ნიშნები და აქტივობები, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება ინტეგრაციაში. მექანიზმის მიხედვით, ადაპტაციის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები და საჭიროებები, საგანმანათლებლო პროგრამების სირთულე, წინასასკოლო მზაობა, სასწავლო დატვირთვის ინტენსივობა, მშობლის ფაქტორი და სხვა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მშობლებს, მათ შორის იყვნენ მშობლები, რომლებმაც სხვა სკოლიდან გადმოიყვანეს ბავშვები, მათ აღნიშნეს რომ მოსწავლეთა ინტეგრაციას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა სკოლის მხრიდან. მშობლები აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არის პოზიტიური კულტურა და კლიმატი, რაც მოსწავლეებს უჩენს სკოლაში სიარულისა და შესაძლებლობების გამოვლენის სურვილს. მოსწავლეებმა ისაუბრეს, წარმატებული, საკუთარი გამოცდილების, ადაპტაციის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის მიერ შემუშავებულია მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს, სასწავლო პროცესის დაწყების პირველივე ეტაპზე შესაბამის პირობების შექმნას და მოსწავლეთა მხარდაჭერას. კერძოდ, სწავლის დაწყების მომენტიდან ხდება მოსწავლეთა მზაობის შემოწმება. მზაობის განსაზღვრის საფუძველზე პედაგოგები მიმართავენ დიფერენცირებულ სწავლებას და აცნობენ სასკოლო გარემოს მოსწავლეებს. მობილობით გადმოსული მოსწავლის შემთხვევაში, მასწავლებელი მოსწავლეს აცნობს სკოლას, აწვდის მოსწავლის უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციას, გეგმავს არაფორმალური ტიპის აქტივობებს, ექსკურსიას, გასვლით გაკვეთილს და სხვა. დამრიგებლები ხელს უწყობენ მოსწავლეების გაცნობასა და დამეგობრებას. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს წარუდგენს თანაკლასელებს და აცნობს საგნის მასწავლებლებს. აღნიშნული ფაქტი დადასტურებული იქნა მოსწავლეების მიერ გასაუბრების დროს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლე სკოლისგან იღებს კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ინფორმაცია დიაგნოსტიკური წერების შესახებ, რომელთა ანალიზის საფუძველზე სკოლა ავლენს მოსწავლეთა საჭიროებებს და მათ სთავაზობს დამატებით მეცადინეობებს. სკოლაში დანერგილია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მასწავლებლები, საჭიროების შემთხვევაში და მშობლებთან შეთანხმებით, ატარებენ დამატებით გაკვეთილებს. აღნიშნული პრაქტიკა დადასტურდა მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ექსტერნატის გამოცდების წინ ისარგებლონ პედაგოგის კონსულტაციითა და მხარდაჭერით. ამასთან, სკოლას არ აქვს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სხვა სისტემურად გაწერილი მექანიზმები, მათ შორის არ არის შემუშავებული რემედიაციის განხორციელების წესი ან შესაბამისი პროცედურები. მიუხედავად ამისა, ინტერვიუების შედეგები მიუთითებს, რომ პრაქტიკულ დონეზე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას აკადემიური სირთულეების დაძლევის პროცესში. მშობლების განმარტებით, დამატებითი მეცადინეობები იგეგმება მათთან შეთანხმებით და მიმართულია კონკრეტული საგნობრივი თუ თემატური სირთულეების გადაჭრაზე, რაც ადასტურებს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით აკადემიურ მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, რომ სკოლამ პრაქტიკაში არსებული რეგულაციების მიხედვით შეიმუშაოს რემედიაციის მარეგულირებელი მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი. დოკუმენტი განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოსწავლისა და მშობლის კანონიერ უფლებებს და მათი რეალიზების გზებს. მაგალითად, მოსწავლესა და მის მეურვეს სასკოლო სასწავლო გეგმასთან მიმართებით უფლება აქვს აირჩიოს რომელ უცხო ენას და არჩევით საგანს ისწავლის. ასევე, მოსწავლეს შეუძლია საშემოდგომო გამოცდის წარმატებით ჩაბარების მიზნით, მოითხოვოს პედაგოგის კონსულტაცია და უფლებათა დარღვევის შემთხვევაში გაასაჩივროს მომხდარი შესაბამის ორგანოში. მიმართოს დისციპლინურ კომიტეტს და/ან სასამართლოს. სკოლაში, ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა გასაუბრება სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან. მოსწავლეებთან გასაუბრების დროს დაისვა რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა, მათ შორის კითხვა შემაჯამებელი დავალების აღდგენასთან და შეფასებასთან დაკავშირებით. მოსწავლეთა პასუხებიდან ირკვევა, რომ მოსწავლეები ინფორმირებული არიან შეფასების კრიტერიუმების, შემაჯამებელი დავალებების აღდგენის და სხვა საკითხების შესახებ. როგორც მოსწავლეებმა აღნიშნეს, აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას იღებენ დამრიგებლების და საგნის პედაგოგებისგან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ სკოლა ღიაა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინიციატივების მხარდასაჭერად. ინიციატივების არსებობის შემთხვევაში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მიმართონ დირექტორს, ასევე ინციატივები დააყენონ დამრიგებლის წინაშეც. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერის წესი, წესის მიხედვით განსაზღვრულია მხარდამჭერი ჯგუფის შემადგენლობა და მხარდაჭერის მიმართულებები. სკოლას ჰყავს, კანონმდებლობით არჩეული მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის ინიციატივით წლის განმავლობაში დაგეგმილია და ვიზიტის დროს უკვე განხორციელებული იყო არაერთი აქტივობა, მაგალითად მოსწავლეთა თვითმმართველობის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი აქტივობები „,,სამართალი და ფსიქოლოგია", ,,არა ძალადობას", ,,კიბერუსაფრთხოება", ,,არასრულწლოვანთა დანაშაული", ,,ადრეული ქორწინება" ,,ბულინგი" და სხვა. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივების წახალისების გარდა, სკოლა მხარს უჭერს არაფორმალურ აქტივობებს, ახორციელებს სასკოლო პროექტებს. არაფორმალური სახის აქტივობები ემსახურება მოსწავლეთა შესაძლებლობების გაძლიერებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

როგორც ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინა, სკოლაში ძირითადად დამკვიდრებულია უკუკავშირის მიღების ზეპირი ფორმა. სკოლაში ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოებასთან (მასწავლებელთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან, ადმინისტრაციასთან) გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მუდმივად ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მათ შორის გასაუბრებისას არ გამოიკვეთა მკაფიო ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც სკოლის ადმინისტრაცია უკუკავშირს იღებს მოსწავლეებისგან და აუმჯობესებს მოსახურებას. სწორედ ამიტომ, სკოლამ ექსპერტებისგან მიიღო

რჩევა: სასურველია, მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, უკუკავშირის მისაღებად, სკოლამ ჩაატაროს სისტემატიზირებული ანონიმური გამოკითხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- დამრიგებლის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების შესახებ მოსწავლეების ინფორმირების საშუალებით. სკოლის ორგანიზებით ხორციელდება ვიზიტები კოლეჯებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რათა IX-XII კლასის მოსწავლეები უკეთ გაეცნონ სხვადასხვა

პროფესიებს და გაუადვილდეთ არჩევანის გაკეთება. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება IX-XII კლასების მოსწავლეებისათვის ხორციელდება სადამრიგებლო პროგრამების ფარგლებშიც და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. სკოლამ წარმოადგინა პროფორიენტაციის გეგმა, გეგმის მიხედვით გაწერილია ძირითადი აქტივობები, შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და სხვადასხვა პროფესიის მახასიათებლების შესახებ. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციებს სხვადასხვა პროფესიებზე, კოლეჯებზე, პროფესიულ სასწავლებლებსა და უმაღლეს დაწესებულებებზე (რა ტიპის სპეციალობებია, რა ფაკულტეტებია და სხვა). აღნიშნული დასტურდება მოსწავლეებთან გასაუბრებითაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას, კარიერულ განვითარებასან დაკავშირებით, სკოლა ახორციელებს მშობელთა კრებებზე, სადამრიგებლო საათის ფარგლებში და სხვადასხვა საკომუნიკაციო ჯგუფებში ინფორმაციის გაზიარების გზით. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებლები გეგმავენ და ატარებენ საუბრებს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მშობლებთან პროფესიის არჩევასა და შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომ არსებულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეთა პროფორიენტაციის ხელშეწყობისა და მათი პროფესიული ინტერესების განვითარებისკენ მიმართულ მრავალფეროვან ღონისძიებებს და ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. თუმცა, სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც ასახავს აღნიშნული მომსახურებების შეფასების შედეგებს და ამ შედეგების გამოყენებას მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ხარვეზი. სკოლამ ვერ წარმოადგინა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების გათვალისწინების პრაქტიკის ამსახველი მტკიცებულებები.

სკოლამ სტანდარტთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აიღო ვალდებულება უზრუნველყოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების გათვალისწინების პრაქტიკის ამსახველი მტკიცებულებების დოკუმენტირება და შედეგების გამოყენება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე წლის 5

მაისიდან 1 ნოემბრამდე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და გასცა რეკომენდაცია, რომ სკოლამ უზრუნველყოს გაწეული მომსახურების შეფასება და შეფასების შედეგები გამოიყენოს მომსახურების გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია მეტწილად.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის დებულება;
- პროფორიენტაციის დაგეგმვის მოდულები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა..

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით. სკოლას, შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების დანერგვის წესი. წესის მიხედვით განსაზღვრულია მოსწავლის სირთულის იდენტიფიცირების, სტატუსის მინიჭების და სხვა პროცედურები. სკოლას, ასევე გაწერილი აქვს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები სასკოლო სასწავლო გეგმაში. სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციისთვის სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესს სკოლაში.
ვიზიტის დროს სკოლას ჰყავდა 3 სსსმ მოსწავლე. სკოლაში დასაქმებულია 1 სპეციალური მასწავლებელი, რომელიც შესაბამის მხარდაჭერას უწევს სსსმ მოსწავლეებს. სკოლაში დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილია ისგ ჯგუფები. ისგ ჯგუფის სხდომაზე განიხილება სსსმ მოსწავლეების მიღწევები და საჭიროებები. ყოველი შეხვედრა აღწერილია ოქმებში. ოქმების გაცნობის საფუძველზე იკვეთება მშობელთა ჩართულობა. ექსპერტების მიერ სპეც. მასწავლებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში სპეციალური მასწავლებელი შეიმუშავებს წლიურ სამუშაო გეგმებს, შეიმუშავებს ისგ - ის ზოგად ნაწილს

საგნის მასწავლებლებთან და დამრიგებლებთან თანამშრომლობით. სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ისგ. ჯგუფის ოქმები, ინტერვენციის გეგმები და შიდა მონიტორიგნის ჯგუფის დასკვნა, რომელიც გაგზავნილია განათლების და მეცნიერების სამინისტროში. სკოლის შენობაში განთავსებულია ერთი რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა რესურსით. უნდა აღინიშნოს, რომ 3 მოსწავლიდან 2 მოსწავლეს, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის (სამმართველო) ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების დასკვნის ფორმაში, მითითებული აქვს რომ საჭიროებს ენისა და მეტყველების სპეციალისტსა და ფსიქოლოგის მომსახურებას. სკოლას საშტატო განრიგით გათვალისწინებული არ ჰყავს შესაბამისი კადრი.

სკოლას მიეცა რჩევა სასურველია, სკოლამ საშტატო განრიგში გაითვალისწინოს ენისა და მეტყველების სპეციალისტისა და ფსიქოლოგის შტატების დამატება და შეათანხმოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, რამდენადაც პროცესში ჩართულია სკოლის ყველა სტრუქტურა, შექმნილია ისგ ჯგუფები. მშობლის, სპეციალური მასწავლებლისა და საგნის მასწავლებელთა კოორდინირებული თანამშრომლობით ხდება სსსმ მოსწავლეების ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე ჯგუფის წევრები იხილავენ მოსწავლის შედეგებს და საზღვრავენ მოკლევადიან გეგმებს. თანამშრომლობითი ურთიერთობები დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ოქმებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები;
- მოსწავლის ინდ.გეგმა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა;
- სსსმ მოსწავლის პირადი საქმეები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურების სახით სთავაზობს კვების სერვისს, რომელიც უზრუნველყოფილია მოიჯარესთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კერძოდ, 2024 წლის 11 მაისის №14 იჯარის ხელშეკრულებით, სკოლამ ინდივიდუალურ მეწარმე ლ.ჩ.-ს გადასცა შენობის პირველ სართულზე არსებული 21.8 კვ.მ ფართი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ ინდივიდუალურ მეწარმეს არ ჰქონდა ყოველწლიური რეგისტრაცია განახლებული ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას ლ.ჩ.-მ განახორციელა შესაბამისი რეგისტრაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, რადგან მოსწავლეებს სურვილის მიხედვით შეუძლიათ შეიძინონ შესაბამისი საკვები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

მიმიდნარე სასწავლო წელს, სკოლა არ ახორციელებს ისეთ დამატებით საგანმანათლებლო ან/და სააღმზრდელო მომსახურებას, რომელიც არ საჭიროებს მარეგულირებლის თანხმობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- 2023 წლის 11 დეკემბრის N152 ბრძანებით განსაზღვრული კვების ობიექტიე საქმიანობის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ჯგუფის შესახებ ბრძანება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი

11.05.2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: